საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

თორნიკე ბაქრაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

მარიკა არევაძე - კოლეგიის წევრი

ცისმარი ონიანი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ნ. შ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 21.12.2020

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 102/20

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ნ. კ.-ის /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. კ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2020 წლის 21 დეკემბერს საჩივრის ავტორმა ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი, ხოლო 2021 წლის 29 იანვარს ზეპირი ახსნა-განმარტება, სადაც განაცხადა, რომ ადვოკატმა ნ. კ.-მ დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმები.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, ზეპირი შეთანხმებით მან ადვოკატი ნ. კ. დაიქირავა 2018 წლის ოქტომბერში, რათა მას დაეცვა მისი ძმის - ხ. შ.-ის ინტერესები სისხლის სამართლის საქმეზე. ადვოკატს გადასცა ჰონორარი. თავის მხრივ ადვოკატი დაპირდა, რომ დაიცავდა მისი ძმის შელახულ უფლებებს სამივე ინსტანციის სასამართლოში.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, სასამართლოს სხდომები იყო დახურული და არ ჰქონდა შესაძლებლობა გაეგო რა ხდებოდა სხდომაზე. მოგვიანებით შეიტყო, რომ ადვოკატი ნ. კ. სრულყოფილად არ იცავდა მისი ძმის ინტერესებს, რადგან ადვოკატი არ დაპირისპირებია სისტემას, მისი მოქმედება მხოლოდ 2 შაბლონური განცხადების დაწერით შემოიფარგლა. ადვოკატს არ გამოუკვლევია ხ. შ.-ის სახლიდან გაყვანის ეპიზოდი. ის ადვოკატს სთხოვდა ამოეღო როგორც პოლიციის, ასევე აეროპორტის გზაზე დამონტაჟებული კამერების ჩანაწერები, რაც ადვოკატმა არ განახორციელა.

1.4 ადვოკატს არ დაუყენებია საქმეში არსებული ძველი და ყალბი მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის თაობაზე შუამდგომლობა. ადვოკატს არ მოუთხოვია დაუშვებელ მტკიცებულებად ეცნოთ ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც ჩაუტარდა მისი ძმის ტანსაცმელებს.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, მან ადვოკატს აჩვენა საქმეში არსებული დაზარალებულის სასწრაფო დახმარების ბარათები, სადაც ეწერა 16 წ. და 13 წ., რაც შემხებლობაში არ იყო საქმესთან, მაგრამ ადვოკატმა განუმარტა, რომ ეს იყო არა წელი, არამედ საათი. მან ადვოკატს სთხოვა სასწრაფო დახმარების სამსახურიდან გამოეთხოვა ამ დოკუმენტების დედნები, რათა შეძლებოდა ექსპერტიზის ჩატარება. ადვოკატმა განუმარტა, რომ ეს იყო პერსონალური ინფორმაციის შემცველი დოკუმენტი და არ მისცემდნენ.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, მან ადვოკატს სთხოვა ამოეღო დაზარალებულის და მოწმის მფლობელობაში არსებული სატელეფონო ანძების შესახებ ინფორმაცია, თუმცა უშედეგოდ. ასევე ადვოკატს სთხოვა გამოეთხოვა და მისთვის გადაეცა სასამართლო სხდომის ოქმები, რათა შეეფასებინა, ნამდვილად იცავდა თუ არა ადვოკატი ნ. კ. მისი ძმის ინტერესებს, რაც ადვოკატმა არ განახორციელა.

1.7 ამის შემდეგ მას გაუჩნდა ადვოკატისადმი უნდობლობა და საქმეში ჩართო სხვა ადვოკატი, რამაც გაანაწყენა ადვოკატი ნ. კ. და შეწყვიტა მისი ძმის ინტერესების დაცვა, პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის დასრულების ეტაპზე. ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ მან აღმოაჩინა, რომ საქმეში იყო ადვოკატ ნ. კ.-ის შუამდგოლობა, რომლითაც ითხოვდა მისი სატელეფონო საუბრის დაუშვებლად ცნობას. ასეთი ჩანაწერის არსებობის შესახებ მისთვის ან ოჯახის სხვა წევრებისათვის ცნობილი არ იყო.

1.8 საჩივრის ავტორის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ ჰყავდა ადვოკატი, ყველგან თავად დადიოდა განცხადებების ჩასაბარებლად და თავად უწევდა მტკიცებულებების მოპოვება. მართალია ადვოკატმა ყველა მტკიცებულება გახადა სადავოდ, მაგრამ მოსამართლეს არ მიუთითა კონკრეტულ დოკუმენტზე.

2. საჩივრის ავტორის მოწმე თ. კ.

2.1 ეთიკის კომისიის 2021 წლის 05 თებერვლის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორის მოწმემ განმარტა, რომ არის ნ. შ.-ის მეგობარი. 2018 წლის აგვისტოში მას დაურეკა ნ. შ.-მ და უთხრა, რომ მის ძმას ჰქონდა პრობლემა, დააკავეს გაუპატიურების მცდელობის

ბრალდებით. მან მეგობრისგან იცოდა, რომ ხ. შ. მსახურობდა ქართულ შეიარაღებულ ძალებში, იყო არაერთი ღირსების მედლის მფლობელი წარმატებული სამხედრო.

2.2 მოწმე განმარტავს, რომ ესწრებოდა საქალაქო სასამართლოში მიმდინარე პროცესებს, რადგან სხდომა იყო დახურული, ის იცდიდა დარბაზის გარეთ, ბრალდებულის ოჯახის წევრებთან ერთად. ის და ნ. შ. ერთად კითხულობდნენ და ეცნობოდნენ საქმის მასალებს და დეტალებს. საქმეში აღმოაჩინეს არაერთი უზუსტობა. ნ. შ. ყოველთვის თხოვდა ადვოკატ ნ. კ.-ს, ესაუბრათ ამ დეტალებზე.

2.3 მოწმის განმარტებით, ნ. შ.-სთან ერთად იმყოფებოდა სახლში ადვოკატ ნ. კ.-სთან, რა დროსაც ნ. შ.-მ გაუზიარა სამედიცინო ბარათებში მის მიერ აღმოჩენილი უზუსტობა. ადვოკატმა განუმარტა, რომ საქმეში ჩადებული ყველა დოკუმენტი გახადა სადავოდ, თუმცა ნ. შ. მოითხოვდა ადვოკატს მოსამართლისათვის დაეკონკრეტებინა უზუსტობანი.

2.4 ნ. შ.-ს სურდა სხდომის ჩანაწერების მოსმენა. ადვოკატმა მას ჩანაწერები არ გადასცა. ამის შემდეგ ნ. შ.-მ გადაწყვიტა საქმეში სხვა ადვოკატების ჩართვა. მოწმის ინფორმაციით, ადვოკატმა ნ. კ.ემ საქმეში ჩართულ სხვა ადვოკატებთან ერთად მონაწილეობა მიიღო 1 ან 2 სხდომაზე.

3. ადვოკატის პოზიცია:

3.1 ადვოკატმა ნ. კ.-მ ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის 2021 წლის 29 იანვრის სხდომაზე განმარტა, რომ ხ. შ.-ის ინტერესების დასაცავად დაიქირავა მისმა დამ, ნ. შ.-მ, 2018 წლის აგვისტოში. ხ. შ.-ს ბრალდება წაყენებული ჰქონდა სსკ-ის 19, 137-ე მუხლების ფარგლებში.

3.2 ადვოკატის განმარტებით, თავდაპირველად ესაუბა ბრალდებულს, მიიღო მისგან ინფორმაცია და შეათანხმა დაცვის სტრატეგია. კლიენტის თხოვნით, მათი საუბრის შინაარსი კონფიდენციალური იყო ოჯახის წევრებისა თუ ახლობლებისათვის.

3.3 ადვოკატის განმარტებით, მან კლიენტისაგან მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე პირადად დაათვალიერა ქ. თბილისში, ----ის მიმდებარე ტერიტორია. მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული იყო შპს „ს. ჯ. პ.-ის“ კამერები. მან მაშინვე ჩააბარა განცხადება შპს-ს, რომ მომხდარიყო კამერების ჩანაწერების ამოღება. მათ გადაამისამართეს სათავო ოფისში, სადაც ასევე დაწერა განცხადება და ითხოვა, რომ აღნიშნული ჩანაწერები არ გაენადგურებინათ. პასუხად მიიღო, რომ ჩანაწერებს არ გაანადგურებდნენ და გადასცემდნენ მოსამართლის განჩინების საფუძველზე. მან მოსამართლეს მიმართა კომპიუტერული ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ დასაბუთებული შუამდგომლობით, მოსამართლემ დააკმაყოფილა მისი შუამდგომლობა და გამოსცა განჩინება. რის საფუძველზეც მან მიიღო დისკებზე ჩაწერილი მტკიცებულება, 3 დალუქული ეგზემპლარის სახით: თავისთვის, სასამართლოსთვის და ავთენტურობის საკითხის გასარკვევად - ექსპერტიზის ჩასატარებლად.

3.4 ადვოკატის განმარტებით, კლიენტისაგან მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ის იმყოფებოდა ქ. თბილისში, ----ის მიმდებარე ტერიტორიაზე, ერთ-ერთ ბარში, სადაც

გაესაუბრა ბარის თანამშრომლებს, რომლებმაც განუმარტეს, რომ მათთან მუდმივად არის ხმამაღალი მუსიკა და კამათსაც კი ვერ გაიგებდნენ.

3.5 წინასასამართლო სხდომამდე 5 დღით ადრე, 12 ოქტომბერს მან შეიტანა თავის მიერ მოპოვებული ყველა დოკუმენტი სასამართლოში. 15 ოქტომბერს მას დაურეკა პროკურორმა და უთხრა შესულიყნენ ციხეში, რადგან ბრალი უნდა დაეზუსტებინათ ხ. შ.-ისათვის. მეორე დღეს მას დაუკავშირდა პროკურორი და უთხრა საათი, როცა უნდა შესულიყვნენ ციხეში, ადვოკატი იმყოფებოდა ოფისში, ჰქონდა მაღალი წნევა, გამოიძახა სასწრაფო დახმარების სამსახური და მათი ცნობის საფუძველზე არ შევიდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, კლიენტის ინტერესებისათვის. 16 რიცხვში ხ. შ.-ს ბრალი დაუზუსტეს და სსკ-ის 19, 137-ე მუხლებთან ერთად ბრალად წაუყენეს სსკ-ის 178-ე მუხლი. პროკურორთან მისი საუბარი დაურთეს საქმეს და ესაა სწორეს ის ჩანაწერი, რომლიც ამორიცხვაც ითხოვა მტკიცებულებათა ნუსხიდან.

3.6 ადვოკატის განმარტებით, წინასასამართლო სხდომაზე, 22 ოქტომბერს მან ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი ყველა მტკიცებულება გახადა სადავოდ, დასაბუთებულად, ასევე მოითხოვა ხ. შ.-ის მიმართ გამოყენებული აღკვეთი ღონისძიების შეცვლა გირაოთი და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა.

3.7 ადვოკატის განმარტებით, დაზუსტებულ ბრალთან დაკავშირებით, მან მოითხოვა მოწმის სახით დასაკითხ პირთა სიაში შეეყვანათ ბრალდებულის და - ნ. შ.. მისი შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლომ ნ. შ. გამოკითხა.

3.8 ადვოკატის განმრტებით, მან პროკურატურას მიმართა დაწყებულიყო გამოძიება ხ. შ.-ის დაკავებისას უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე. ეს ინფორმაცია მან ცნობის სახით წარადგინა სასამართლოში.

3.9 ადვოკატი განმარტავს, რომ პაციენტის სამედიცინო ბარათზე მითითებულია საათი, რაც გაზიარებულია ასევე დაზარალებულად ცნობილი თ. ც.-ის ექსპერტიზის დასკვნაში, სადაც ექსპერტი უთითებს გამოყენებულ მასალას.

3.10 ადვოკატის განმარტებით, ნ. შ.-მ გადაწყვიტა მოწმეთა დაკითხვის დროს საქმეში სხვა ადვოკატის ჩართვა. ხ. შ.-ის სხდომის დროს აღნიშნულ ადვოკატს ჰქონდა სხვა საქმის პროცესი. ნ. კ. თავადაც არ გამოცხადდა სხდომაზე კლიენტთან შეთანხმებით, რის გამოც მოსამართლემ დააჯარიმა და ჯარიმა გადაიხადა საქმეში ჩართულმა მეორე ადვოკატმა.

3.11 ადვოკატის განმარტებით, საქმეში ჩართულ სხვა ადვოკატებთან ერთად, ის მონაწილეობას ღებულობდა პირველი ინსტანციის სასამართლოს პროცესებში. საქმეზე დამდგარი განაჩენი მას არ ჩაბარებია და პირველი ინსტაციის შემდეგ, დაუკავშირდა საქმეში ჩართული ადვოკატი და აცნობა, რომ საქმეს თავად გააგრძელებდნენ. იგივე პოზიცია ჰქონდა მის დამქირავებელს - ნ. შ.-ს. ამის შემდეგ საქმეს ჩამოშორდა.

3.12 ადვოკატი განმარტავს, რომ ბრალდებულის დას აწვდიდა იმ ინფორმაციას, რის უფლებასაც კლიენტი აძლევდა.

4. ადვოკატის მოწმის, ადვოკატ ი. ჩ.-ის პოზიცია

4.1 ადვოკატის მოწმემ ი. ჩ.-მა ეთიკის კომისიის 2021 წლის 17 თებერვლის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე განმარტა, რომ ხ. შ.-ის საქმეში ადვოკატად ჩაერთო მეგობარი ადვოკატის თხოვნით, არსებითი განხილვის ეტაპზე, უკვე მიმდინარეობდა მოწმეების ჯვარედინი დაკითხვა.

4.2 მოწმის განმარტებით, როდესაც ის საქმეში ჩაერთო, ადვოკატ ნ. კ.-ს ჩატარებული ჰქონდა აქტიური საგამოძიებო მოქმედებები, მოპოვებული ჰქონდა მტკიცებულებები, კამერების ჩანაწერები, რომელიც წინასასამართლო სხდომაზე დასაშვებ მტკიცებულებად იყო ცნობილი. მათი დაცვის სტრატეგია აგებული იყო სწორედ აღნიშნულ მტკიცებულებაზე.

4.3 ადვოკატი განმარტავს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში წარმომადგენლობა განახორციელა ადვოკატ ნ. კ.-სთან ერთად. ადვოკატი განმარტავს, რომ რადგან სხდომა იყო დახურული, საქმის მასალები ოჯახის წევრებისათვის თავად არ გადაუცია.

III სამოტივაციო ნაწილი

5. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

5.1 ადვოკატი ნ. კ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი N/ სპეციალიზაცია - საერთო სამართალი.

5.2 ნ. შ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2020 წლის 21 დეკემბერს.

5.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2018-2020 წლებში. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32.2 მუხლის შესაბამისად დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის ვადა.

6. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ნ. კ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

7. სამართლებრივი შეფასება:

7.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა ნ. კ.-მ მისი ძმის ინტერესები არ დაიცვა სრულყოფილად: არ გამოითხოვა მტკიცებულებები, მოსამართლეს არ მიუთითა მტკიცებულებებში არსებულ კონკრეტულ უზუსტობებზე, ადვოკატი არ აწვდიდა სრულყოფილად ინფორმაციას, არ აცნობდა საქმეში არსებულ დოკუმენტაციას.

7.2 საპროცესო კოლეგიამ შეისწავლა მხარეების პოზიციები, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები და იმსჯელა ადვოკატ ნ. კ.-ის მიერ შემდეგი ნორმების სავარაუდო დარღვევის შესახებ:

7.2.1 ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს, კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს კლიენტის წარმომადგენლობა და

შეასრულოს პროფესიული ფუნქციები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ა), ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, შემდგომში „ეთიკის კოდექსი“, მუხლი 8.5).

7.2.2 ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.2.).

7.2.3 ადვოკატმა კლიენტს, მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობის შესახებ (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.6).

7.3 ადვოკატმა თავის საქმიანობა უნდა განახორციელოს კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად, რაც გულისხმობს იმ ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას, რომლებიც მან, როგორც ადვოკატმა, აიღო კლიენტთან შეთანხმებით, მისი საქმის საწარმოებლად.

7.4 ადვოკატის კვალიფიციურობისა და კეთილსინდისიერების შეფასებისათვის მნიშვნელოვანია ორი ძირითადი საკითხის განსაზღვრა: (1) ადვოკატმა კლიენტთან შეათანხმოს დაცვის სტრატეგია და მოსალოდნელი შედეგების შესახებ მოახდინოს კლიენტის ინფორმირება; და (2) ადვოკატის მიერ შერჩეული დაცვის სტრატეგია შესაბამისობაში იყოს კანონთან. სხვა მხრივ, თუ რამდენად ეფექტიანი იყო ადვოკატის მიერ შერჩეული დაცვის სტრატეგია, არ შეიძლება შეფასების საგანი გახდეს, რადგან ადვოკატი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში (აპეკ, მუხლი 2). აღნიშნული კი გულისხმობს დაცვის სტრატეგიის დამოუკიდებლად განსაზღვრასაც, რომელიც შეთანხმებული უნდა იყოს კლიენტთან (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომიისის 2019 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმე N083/19).

7.5 „ადვოკატმა კეთილსინდისიერად უნდა დაიცვას კლიენტის ინტერესები, რაც გულისხმობს იმას, რომ მან ყველა შესაძლო კანონიერი საშუალება უნდა გამოიყენოს კლიენტის დასაცავად. ასევე, ადვოკატი ვალდებულია იქონიოს სისტემატური კომუნიკაცია კლიენტთან საქმის წარმოების პროცესში, მასთან წინასწარი შეთანხმებისამებრ დასახოს დაცვის სტრატეგია და განახორციელოს შესაბამისი სამართლებრივი მოქმედებები“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე N125/18).

7.6 კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატს ვალდებულები წარმოეშობა როგორც დამქირავებლის, ასევე კლიენტის წინაშე, თუმცა ეს ვალდებულებები განსხვავებულია. ადვოკატი დამქირავებლის წინაშე ვალდებულია სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში, ხოლო კლიენტის წინაშე წარმოეშობა პროფესიული ეთიკური ვალდებულებები: კვალიფიციურად შეასრულოს პროფესიული სამუშაო, მასთან შეათანხმოს დაცვის სტრატეგია, შეთანხმებული ფორმით მიაწოდოს ინფორმაცია და ა.შ.

7.7 ადვოკატი ვალდებულია კლიენტის თანხმობის გარეშე არ გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 7.1, ეთიკის კოდექსი, მუხლი 4.1). აღნიშნული რეგულაცია ვრცელდება კლიენტის ოჯახის წევრებზეც. ადვოკატს კლიენტის

სასარგებლოდ ევალება დაიცვას ინფორმაცია და არ გადასცეს მის ოჯახის წევრს, თუნდაც იყოს ოჯახის წევრის მიერ დაქირავებული.

7.8 კოლეგიის შეფასებით, საჩივრის ავტორმა ადვოკატი ნ. კ. ზეპირი ხელშეკრულების საფუძველზე აიყვანა ძმის ინტერესების დასაცავად, სისხლის სამართლის საქმეზე. ადვოკატის კლიენტს წარმოადგენდა ხ. შ., რომელსაც ეთიკის კომისიისათვის არ წარმოუდგენია პრეტენზია ადვოკატ ნ. კ.-ის მიმართ. ბრალდების შინაარსიდან გამომდინარე, ხ. შ.-ის სისხლის სამართლის საქმე განიხილებოდა დახურულ სასამართლოს სხდომაზე. ადვოკატმა მონაწილეობა მიიღო პირველი ინსტანციის სასამართლოში.

7.9 საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე ირკვევა, რომ ადვოკატმა გასწია სამუშაო: ჩაატარა აქტიური საგამოძიებო მოქმედებები, რის შედეგადაც მოიპოვა მტკიცებულებები, ბრალდების მხარის მიერ მოპოვებული ყველა მტკიცებულება გახადა სადავოდ, კლიენტის ინტერესის სასარგებლოდ მოითხოვა შეეფასებინათ პროკურატურის თანამშრომელთა მიერ უფლებამოსილების გადაჭარბების საკითხი ხ. შ.-ის დაკავებისას. ადვოკატი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომებში. ეთიკის კომისიას თავისი კომპეტენციის ფარგლებში არ შეუძლია შეაფასოს ადვოკატის სტრატეგია, ადვოკატის მიერ კონკრეტულ მტკიცებულებათა შეფასება, დაყენებული შუამდგომლობები, რადგან ყოველი ადვოკატი, მხოლოდ კლიენტთან შეთანხმებით განსაზღვრავს საქმის წარმართვის სტრატეგიას და თავისი კვალიფიკაციის ფარგლებში უწევს მას მომსახურება. თუმცა კოლეგია ყურადღებას ამახვილებს გარემოებაზე, რომ ადვოკატი ნ. კ. პროფესიულ წრეებში სარგებლობს მაღალი რეპუტაციით, განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატის აქტიური საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებაზე იყო აგებული დაცვის მხარის სტრატეგია.

7.10 კოლეგიის შეფასებით, ადვოკატი ნ. კ. ითვალისწინებდა რა კლიენტის ინტერესს, მის ოჯახის წევრებს აწვდიდა ინფორმაციასა და საქმის მასალებს იმ ფარგლებში, რის უფლებასაც კლიენტი აძლევდა.

7.11 კოლეგიის შეფასებით, ადვოკატ ნ. კ.-ს არ დაურღვევია საქმის კვალიფიციურად წარმოებისა და კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდების ეთიკური ვალდებულება.

7.12 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30–ე მუხლის მე–2 პუნქტით, 31–ე მუხლით და 40–ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №102/20 ადვოკატ ნ. კ.-ის მიმართ /სიითი №/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე:	/თორნიკე ბაქრაძე/
კოლეგიის წევრი:	/მარიკა არევაძე/
კოლეგიის წევრი:	/ცისმარი ონიანი/